სააპელაციო საბჭო

28/10/2024

MES 9 24 0001384778

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი: 11/10/2024
სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 13:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: ქეთევან გილაშვილი

სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ლევან ნიკოლეიშვილი -** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ქეთევან გილაშვილი -** საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების ექსპერტი - საბჭოს მდივანი;
4. **ირმა შიოშვილი -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
5. **ირაკლი კორძაია -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ანასტასია ქიტიაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ცენტრის დირექტორი;
7. **ჯონი ბოჭორიშვილი -** სსიპ - ქალაქ თბილისის N207 საჯარო სკოლის დირექტორი;
8. **თეონა თიგიშვილი** - შპს "ჯეო სქაი სქულის" მასწავლებელი;
9. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის/დირექტორის პროფესიის რეგულირების პროგრამის მენეჯერი, შპს "ევროპული სკოლის" ქართული პროგრამის ხელმძღვანელი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ქეთევან ინანაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**ნინო ღაჭავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ ავტორიზაციის დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრებოდა სააპელაციო საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ასევე, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 96-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, სააპელაციო საბჭოს წევრი ვალდებულია, საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოებების არსებობა.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2024 წლის 3 სექტემბრის № 1071579 გადაწყვეტილებაზე შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის მიღების განხილვა

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. ,,შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2024 წლის 3 სექტემბრის № 1071579 გადაწყვეტილებაზე შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის მიღების განხილვა

საკითხის განხილვა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად, ან განაცხადოს უარი საჩივრის განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრულია ავტორიზაციის დებულების 97-ე მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი საბჭოს მიერ მიიღება განსახილველად.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, რომ დაედასტურებინათ წარმოდგენილი საჩივარი აკმაყოფილებს თუ არა ავტორიზაციის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ასევე წარმოედგინათ ინფორმაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის საფუძვლისა და სახის (გეგმური, არაგეგმური) თაობაზე.
უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა ქეთევან ინანაშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით (№457/01 (№1197872, 24/09/2024)) ჩანს, თუ ვის მიმართავს დაწესებულება (იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება) და ამავდროულად მითითებულია, თუ რომელი გადაწყვეტილება არის გასაჩივრებული (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება - №1071579, 03/09/2024). საჩივარში გათვალისწინებულია/ასახულია ავტორიზაციის დებულების 97-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები. საჩივართან ერთად წარმოდგენილია თანდართული დოკუმენტაცია. ცენტრის №1228516, 1/10/2024 წერილის საფუძველზე დაწესებულებამ (№464/01 (№1249390, 1/10/2024)) წერილით დაადასტურა, რომ საჩივარი არ არის სასამართლო წარმოებაში. ცენტრის მიერ დაწესებულებისათვის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ინფორმირებიდან საჩივრის წარმოდგენამდე არ იყო გასული ერთთვიანი ვადა, ხოლო უშუალოდ საჩივარი ცენტრში წარმოდგენილი იყო უფლებამოსილი პირის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის საკითხზე საბჭოს უწევს დასაშვებობის შემოწმება, და თუკი ეს ეტაპი გაიარა სააპელაციო საჩივარმა, მასზე დაყრდნობით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის მიხედვით, მოხდება შინაარსობრივი ნაწილის არსებითად განხილვა. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მიმდინარე ეტაპზე, დაწესებულებაში განხორციელდა არაგეგმური მონიტორინგი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომლებს, წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და სხვა დამატებით გარემოებებზე, რომელიც არ იქნა აღნიშნული მიმდინარე საუბრის დროს.
ცენტრის თანამშრომელმა, აღნიშნა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შემოწმების არაგეგმური მონიტორინგი განხორციელდა (ბრძანება №353476, 26/03/2024) ცენტრის ინიციატივით. მონიტორინგის ფარგლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ

ცენტრის მიერ არაგეგმიური მონიტორინგის პროცესები იგეგმება რისკების მართვის პრინციპების გამოყენებით.
ცენტრის თანამშრომელმა ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 95 - ე მუხლის თანახმად, დებულების 77-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებელმა/საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება გაასაჩივროს სააპელაციო საბჭოში. ხოლო ეს უკანასკნელი მუხლი ითვალისწინებს ავტორიზაციის საბჭოს შემდეგ გადაწყვეტილებებს:
ა) ავტორიზაციის შესახებ;
ბ) ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ;
გ) ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.
ცენტრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში ცენტრის მიერ განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოება განხორცილდა ავტორიზაციის დებულების 88 - ე მუხლის შესაბამისად, რომელიც არეგულირებს მონიტორინგის გზით ავტორიზაციის პირობების შემოწმების პროცედურებს. ხოლო ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდა ავტორიზაციის დებულების 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომლის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების პროცესის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ.
გოდერძი ბუჩაშვილის თქმით, ცენტრის ინიციატივით, არაგეგმური მონიტორინგის განხორციელების შედეგად, ავტორიზაციის საბჭოს №1056331 ოქმში (03.09.2024) ასახული გადაწყვეტილება წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, არის შუალედური. ამდენად, გადაწყვეტილება არ მიესადაგება ავტორიზაციის დებულების 95-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ჩამონათვალში მითითებულ არცერთ შესაძლო გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსთან დაკავშირებით. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სააპელაციო საჩივრის განხილვაში მიღების მკაფიო და ცალსახა სამართლებრივი საფუძველი არ იკვეთება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ 2024 წლის 3 სექტემბრის № 1071579 გადაწყვეტილებაზე შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0;
წინააღმდეგი - 9.

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 95 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 97 - ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის შესაბამისად, არ

იქნას განსახილველად მიღებული შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის2024 წლის 24 სექტემბრის №1197872 სააპელაციო საჩივარი სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ.

13:00 საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

ელექტრონული
ეროვნული
ელექტრონული